



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #030/14¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ გაჩეჩილაძე (სტუდენტი)

ფაქტები:

ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების დამნაშავედ ცნობის შემდეგ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუში სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის შესახებ განაცხადა: „რაც შეეხება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას, ეს არის არამართო უსამართლო, არამედ უსინდისო გადაწყვეტილება და მე ვიტყვოდი, რომ სასამართლომ ამით ხელი დააფარა იმ ბოროტმოქმედებს, რომლებმაც ჩადეს ეს იარაღი“. კომისიამ იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის ვალდებულებაა სასამართლოში მოქმედი ქვეყნის წესების დაცვა. ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატმა ისე უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რომ არ შელახოს პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები და დაიცვას პროფესიული ღირსება.

ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების“ გათვალისწინებით, რომელსაც მათი პროფესია აკისრებთ. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი. მით უფრო, რომ მოსამართლეებს, როგორც საჯარო მოხელეებს, გააჩნიათ „თმენის ვალდებულება“ მათ მიმართ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ გაქდერებული კომენტარი წარმოადგენს ადვოკატის სუბიექტურ შეფასებას და მოსაზრებას სისხლის სამართლის საქმის თაობაზე. კომენტარი მიზნად არ ისახავდა შეურაცხყოფის მიყენებას, რადგან ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დაცვის ფარგლებში. მან მოსაზრება გამოხატა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად, რაც წარმოადგენდა ადვოკატის შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და შინაარსის სისწორე/მცდარობა მთლიანად დამოკიდებული იყო გამონათქვამების ავტორის შეხედულებებზე.

დასკვნა:

ადვოკატის მიმართ არ აღძრულა დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების

¹ <https://gba.ge/pdf/5c4c435907775.pdf/5c4c435907775.pdf>

30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.